საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბებესირი

ბებესირი, ტბათა ჯგუფი გალის მუნიციპალიტეტში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის აუზში.

დიდი ბ. და ბ. მდებარეობს ოქუმის მარჯვ. მხარეს, პატარა ბ. – მარცხ. მხარეს. ტბები წარმოიშვა სანაპირო დიუნებით მდ-ების შეგუბების შედეგად. დიდი ბ-ის ზედაპირის ფართ. 0,61 კმ², მაქს. სიღრმე 4,5 მ; ბ-ისა, შესაბამისად – 0,14 კმ², 4,6 მ; პატარა ბ-ისა – 0,1 კმ² , 1,7 მ.

ტბები საზრდოობენ წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. ზედაპირის დიდი ნაწილი დაფარულია წყალმცენარეებით. მდიდარია თევზით (ქარიყლაპია, კობრი, ლოქო, კაპარჭინა და სხვ.).

ი. აფხაზავა